




6. გარეთა გვირცის



მაქსიმი

ღი

წერილები

გამოცემა მეხუთე

— — — — —

თბილისი

საქართველოს მთავრობის კულტურული მუზეუმი

1895

3


波蘭

ქ. მ. წერი-კოსტენის გამზღვრულებელის სახლგადოების გამოცემა N 25.

6. გარეთა გვილის

፩፻፯፭

78



ԾԱՌԱԾԵՑ ՁԵՒՅՑ



६३०८०६०

Бр-2933 ТОВ ЗОВ РОДИНА СПІВВОДІЛЕННЯ ПРУДНИК, Т-324, № 100-7, 1991

1.895



Дозволено цензурою. Тифлисъ 5 Декабря 1894 года.



6. ბარათაშვილის გირშირსფის ჩატვირტი

ნ. ბარათაშვილი, შინაურობაში ტატოდ წოდებული, დაიბადა 1816 წ. 22 გიორგობისთვეს. მისი მამა მელიტონ ბარათაშვილი იყო ძელებურად აზრდილი თავადიშვილი, ბუნებით მკაცრი და ფიცხელი, ხოლო მეტის-მეტად ხელგაშლილი და სტუმართ-მოყვარე. იგი ნამსახური იყო ჯერ თარჯიმნად, შემდევ ტფილისის მაზრის მარშლად. უკანასკნელს თანამდებობაში ხელგაშლილის ცხოვრების გამო იმან დაღუპა მოელი თავისი საცხოვრებელი, დაეალიანდა და ბოლოს გაჭირებაში ჩაეარდა. ნიკოლოზის დედა ეფემია—თავისის გულკეთილობით შესანიშნავი ქალი, იყო ასული თ. დიმიტრი ორბელიანისა და დამ პოეტის გრიგოლ ორბელიანისა. ისიც შინაურულად იყო აზრდილი. შეიდის წლისა რომ შეიქნა ბარათაშვილი, დედამ დააწყებინა ქართული წერა-კითხეა. შემდევ მიაბარეს კალოუბის სამრევლო სასწავლებელში. აქედან იგი გადაიყვანეს ენკუნისთვეში 1827 წლისა კეთილშობილთ სასწავლებელში, რომელიც 1830 წ. გადაკეთებულ იქნა გიმნაზიად. ბარათაშვილმა გიმნაზია შეასრულა 1835 წ.

ბარათაშვილი ბუნებით იყო ნიჭიერი, მხიარულის გულისა, ცელქი და ოხუნჯი, თუმცა ანჩხლი და ნერვებიანი. როგორც მოსწავლე სწავლით იყო სამავალითო,


ერთი პირველთაგანი, ხოლო ყოფა-ქცევით კი უკანასკნელი თაეისის ცელქობისა და ოხუნჯობის გამო. თაქ შეიძლება სიახლისა გამო 1832 წ. ბარათაშეილი გადმოვარდა კიბით-გან და ორივე ფეხები სამუდამოდ დაიშავა. სასწავლებელ-ში ყოფნის დროს ყველა ბარათაშეილმა ლექსების წე-რა. ამას გარდა გიმნაზიაში იღებდა მონაწილეობას რუ-სულს ხელთნაწერს ქურნალში (ЦВЕТОК гимназии), რო-მელსაც მოსწავლები სწერდენ. სკოლაში ყოფნის დროს ბარათაშეილის სანატრელი ის იყო, რომ შესულიყო სამ-ხელრო სამსახურში. კურსი რომ გაათავა და მშობლებს გამოუტხადა თაეისი სურეილი ჯარში შესელისა, მათ უა-რი უთხრეს: კოჭლი ხარ და არ გამოდგებიო. როცა ეს ოცნება გაუტრუედა, მაშინ ბარათაშეილმა მოინდომა უნი-ერსტეტში წასვლა, მაგრამ ამაზედაც უარი უთხრეს მშო-ბლებმა, რადგან ისინი ძალიან გავირებულები იყვენ ნივ-თიერად და მნოლოდ მისგან-და გამოელოდენ დახმარებას და შეელას. ამნაირად ბარათაშეილი იძულებული შეიქა-სამოქალაქო სამსახურში შესულიყო და იმანაც აირჩია უზენაესის საქართველოს მართებლობის სამსამართლო განყოფილება (Экспедиция суда и расправы Верховного грузинского правительства).

ბარათაშეილის დრო ისეთი უფერული და უნუგე-შო დრო იყო, როდესაც ჩეენს ქვეყანაში და კერძოდ ტფილისში არაფერი იყო-რა იმისთანა დაწესებულება, რო-მელშიც შესაძლებელი ყოფილიყო კაცს გამოეჩინა უმაღ-ლესის ბუნების თეისებანი, არ იყო არც ქურნალ-გაზე-თობა, არც თეატრი, არც რამე საზოგადო დაწესებულე-ბა ან -საქმე. საზოგადო აზრი და საზრუნავი მაშინ საზო-გადოებას არაფერი ჰქონდა-რა. სმა-ჭამა, საერთო ქეიფი,



ქალებთან არშიყობა, მითქმა-მოთქმა და ჭორების სუსენის
ჩვეულებრივი დროს გასატარებელი საშუალებანი მაშინდე.
ლის საზოგადოებისა. მხოლოდ რამდენსამე პირს ამ უფე-
რულს ცხოვრებაში არ დავიწყებოდათ თაერთო ქეყანა,
მისი მწერლობა, ისტორია და მომავალი ბედი. ეს პირი
შეხედებოდენ ხოლმე ერთმანერთს ან სახლებში საღილ-
გახშამზე ან ქალაქს გარედ ბალებში ქეიფ-სეირნობის დროს
და მართაედნ ლაპარაკს საქართველოს ძევლს დროშე.
ბარათაშეილი ამ პირთა შორის ერთი პირველთავანი იყო.
მას ყველაზედ მეტად უცემდა გული სამწობლოს სიყვარუ-
ლით, ყველაზე მეტად უყვარდა ქართული მწერლობა და
ყველაზე მეტად უკვნესოდა გული საქართველოს დაერდ-
ნილობისა და საზოგადოების უფრულის ცხოვრების გა-
მო. მართალია, ბარათაშეილი ძალა-უნებურად ემორჩილე-
ბოდა მაშინდელს ცხოვრებას და მის ტალღებში ჩათ-
რეული ისიც ისე ატარებდა დროს, როგორც სხეები. ქეი-
ფი, ცეკვა-თამაში, მითქმა-მოთქმა, არშიყობა და ჭორია-
ნობა მისთეისაც ჩვეულებრივი დროს გატარება იყო; მაგ-
რამ როდესაც მის გრძნობიარე და ფაქიშს ბუნებას იმნაი-
რი უაზრო ცხოვრება მოსწყინდებოდა, როდესაც მისი
გონება და აზრი გამოფხიზლდებოდა და დაინახადა მის
ცხოვრების სრულს სიფუჭეს და არარაობას, იყი მიეცე-
მოდა ხოლმე მწერხარებას, რომელიც გამოუხატავს მას თა-
ვისს ლექსებსა და წერილებში.

იმ ლექსებს გარდა, რომლებსაც ჩეენამდის მოუწე-
ვიათ, ბარათაშეილს დაუწერია ბევრი სხეები, რომლებიც
თითონევე დაუწევია, რაღაც არ მოსწონებია შემდეგში.
სხეათა შორის ცნობილია, რომ მას ჰქონია დაწერილი



დიდი პოემა სახელად «გევრიელი», რომელშიც აწერება ბერძნების უფლის საქართველოს ისტორიული ამბები X, XI და XII საუკუნოებისა, და უთარგმნია ლეიზევიცის ტრაგედია «იუდიას ტარენტელი», რომელსაც თეით პოეტი იხსენიებს. ამ მიზეზის გარდა ბარათაშვილის ნაწერების სიკორცავე აიხსნება იმით, რომ ჯერ ერთი ძალიან აღრევადაიცალა (29 წლისა) და არ დასცალდა დაეწერა, რის დაწერაც შეეძლო, მეორედ მაშინდელს დროს, როდესაც ლიტერატურულს შრომას და ნაშრომს დიდი ფასი არ ჰქონდა, აჩაფვერი იწყებელა პოეტს შემოქმედებისათვის შინაგანის პოეტურის ბუნებისა და საკუთარის შთაგონების მეტი. თუმცა ცოტაა ბარათაშვილის ნაწერი, მაგრამ იგი ძალიან დიდის ღირსებისა და შინაშენელობისაა, რაიცა ჩენეს პოეტს უპირეველესს ხირისხზედ აყენებს ჩენეს მწერლობაში.

სამსახურში ბარათაშვილი ძალიან გულმოდგინე იყო. 1842 წ., როდესაც სამხედრო მინისტრმა რეეიზია უკო ტფილისის სამოქალაქო დაწესებულებათა, მათავარმართებელმა პოზენმა ისე მოიწონა ბარათაშვილის საქმის წარმოება, რომ ბრძანება გამოსცა ქართველებს უპირატესობა მისცემოდათ სამსახურში*). მაგრამ ბარათაშვილი არ იყო კმაყოფილი თავისის ადგილისა სამსახურში. მას სწყურიდა უფრო დიდს ადგილზე მოღვაწეობა, რომ ესახელებინა თავისი თავი და სარგებლობაც მოეტანა ქეყნისათვის, მაგრამ ბედმა არ გაულიმა და მომეტებული დრო თავისის სამსახურისა სტოლისუფროსობა-

*) ეს ამბავი ბ-ნს მცუნარეის გაუგონია თ. ლევ. მელიქ-შეილისაგან.



ში გაატარა. მხოლოდ 1844 წ. გიორგობისთვეში ის გამწერებულ იქნა მაზრის უფროსის თანაშემწედ ნახრ-ჩეენში. რაღა თქმა უნდა, რომ არც ეს სამსახური დაკ-მაყოფილებდა მას, მეტადრე იმისთანა მიყრუებულს და შო-რეულს ადგილში, როგორიც იყო ნახჩეენი. რამდენიმე თოვეის შემდეგ 1845 წ. ბარათაშეილი დაბრუნდა ნახჩეე-ნითვან და დაიწყო მეცადინეობა, რომ გადაეყენათ იმავე თანამდებობაზე თელავში. მისი თხოვნა შეწყნარებულ იქნა და კიდეც დაინიშნა თელავში, მაგრამ მის მოულო-დნელად იგი გადაეიდა განჯაში იმავე თანამდებობაზე. აქ ბარათაშეილმა იცოცხლა რამდენიმე თვე და გადაიცეალა 1845 წ. 9 დეკემბერისთვეს, ოც-და-ცხრა წლისა, ნიჭითა, გრძნობითა და სიცოცხლით საესე. ბარათაშეილი დამარ-ხულ იქნა განჯაში იმავე საყდრის გალავანში. მხოლოდ ორ-მოც და რეა წლის შემდეგ 1893 წ. 25 აპრილს მისი ნაშ-თი გადმოსცენებულ იქნა ტფილისში და დამარხულ იქნა დიდის ამბით და პატივით დიდუბის საყდრის ეზოში.

ბარათაშეილის გადაცეალება დიდად სამწუხაროდ დარჩათ მის ნათესავებს და მეცნობრებს, რომლებიც კარ-გად იცნობდენ მას და დიდადაც აფასებდენ. ამ მწუხარე-ბის წარმოსადგენად ჩეენ მოვიყვანთ ადგილებს ორის წე-რილითვან, რომლებშიც იხსენება მისი გადაცეალება. ერთ-ში პოეტის ბიძა თ. ილია ორბელიანი სწერს თავისს ძვალ-გრიგორის ტფილისითვან 29 გიორგობისთვეს 1845 წ.: „ამ საწყლების მელიტონის და იმის ცოლ შეილის ყურების-თვეის ეელარ გამიძლია. გულს ცეცხლი მეციდება, ეკიცვ-ბი და აღარა მესმის-რა; ჩეენი სიცოცხლე ტატო გარდა-ცესა განჯას და იფიქრე ჩეენი ცხოვერება. ნეტავი შენა,



რომ მელიტონს და ეფემიას არა ხედავ! შენი ჭირისმეტობა
გრიგოლჯან! ესე ამბავი ქრისტიანებრივის მოთმინებით
მიიღე და ნუ შეიწუხებ მაგ ავათმყოფობაში თაესა“.

მეორე წერილში პოეტის მეგობარი და ნაამხანაგა-
რი თავ. ლევან მელიქიშვილი სწერს ისევ გრიგოლ ორ-
ბელიანს ტფილისიოგან 19 იანვარს 1846 წ.

„ძმაო გრიგოლ, არ ვიცი რანაირად აგიწერო ის სა-
შინელი გრძნობა, რომლითაც აიესო ჩემი გული საწყა-
ლის ბარათაშეილის სიკედილის გამო; იმაში დაკარგე
არა მნოლოდ სკოლის ამხანაგი, არამედ მეგობარი, რო-
მელსაც ბაეშეობითგანვე ეუხსნიდი ჩემის გულის ყოველს
კუნჭულს და რომლის მევობრულის ურთიერთობით ესარ-
გებლობდი. სამძიმოა, ჩემო გრიგოლ, სამძიმოა დაკარგე
კაცისა, რომელიც თავისის გამობარის სულით და გულით
გვაზაებდა ადამიანებთან, ამ უძლურს და ბოროტს ქმნი-
ლებდებთან. სამძიმოა სულით დაობლება! მარტო მე არ
დამიკარგავს ეს დასაკარგი, საქართველომ დაკარგა იმაში
კაცი, რომელსაც იგი უყვარდა მთელის პოეტურის გულით
და რომელიც ამ სიყვარულს ყველა თავისს მოვალებაშე
მაღლა აყენებდა, ახლგაზდა კაცი, საესე მშენიერის და
ბრწყინვალე ნიჭით, რომლისაგანაც გამოვლოდა მეტს,
ვიდრე რომელისამე სხეა ახლანდელის თავის ახალგაზდა
შეილისგან. მშობლებმა დაკარგეს იმაში თავიანთ მოხუ-
ცებულობის და მთელის მათის ოჯახის ბერჯი, ნა-
თესავებმა კეთილი ნათესავი, ქართველებმა ერთი საუ
კეთესო თანამემამულეთაგანი. — იქნება ეცოდაედე, მაგ-
რამ არ შემიძლიან არა ვთქვა: სად არის ის ზენა-
არი სამართალი, რომელზედაც ყოველდღე გველაპა-



რაკებიან, რატომ წაერთვა ასე უღრიოდ ადამიანებს მე-
გობარი, სამშობლოს მისი ნიჭით საესე მოსიყარულე
შეილი, მშობლებს სიცოცხლით აღსაესე ეფ და უკანასკ-
ნელი ბურჯი. აბა მითხარ, სადა ჩანს აქ სამართალი?

„ახლა გაგახარებ მით, რომ შევატყობინებ რა ნაირად
პატივი სცეს მას და მის ნიჭს ყეველა მისმა ნაცნობებმა.—14
იანეარს (ნინოს დღეობას*) ჩეენ რამდენიმე ახალგაზდა ქარ-
თველები ესადილობდით რევაზ ანდრონიკაშეილთან, ჩეენ
შორის იყო ყაფლანი, რომელსაც ეთხოვეთ ემლერა სულ
ბოროტო, მაგრამ შევიძლიან წარმოიდგინო, რომ არც მას,
არც არაეს ჩეენგანს არამც თუ არ ახსოვდა ზეპირად ეს
ლექსი, არამედ არც ჰქონდა თაეისთესის ეს შშეწიერი ლე-
ქსი. ყეველანი გულით ნანობდენ, რომ განსეენებულის მშეე-
ნიერნი ნაწარმოებნი იყარებოდენ. მაშინ გადაწყვეტილ იქ
ნა, რომ დაბეჭდილიყო განსეენებულის ყეველა ლექსები ჩეე-
ნის ხარჯით. მეორე დღეს გაემართეთ ხელის მოწერა
მის ნათესავთა და ნაცნობთა შორის ფულის შესაგროვე-
ბლად, რომ დაბეჭდილიყო როგორც იმისი საკუთა-
რი ნაწერები ისე თარგმანები იმ აზრით, რომ შენახული-
ყო ჩამომავლობისთესის განსეენებულის ნაწერები და გაყი-
დულის წიგნების შემოსაელის ერთის ნაწილით დადგმუ-
ლიყო მისი ძეგლი, ხოლო მეორე ნაწილი გადადებული-
ყო მის ოჯახის სასარგებლოდ. ხუთს დღეში 17 კაცმა გა-
მოილო 1000 მარტი. აქედან შევიძლიან დაინახო რა
ძლიერი ყოფილა მისდამი სიყვარულა მის ნაცნობ-

*) არ ვიცი იცი თუ არა, პირველი საყვარელი საწყლისა იყო
ნინო, არც ის ვიცი იცი თუ არა რომელი ნინო იყა (შენიშვნა ლ. მე-
ლიქიშვილისა)



თა.—ახლა ეკრებთ განსევნებულის ჟურნალის ნაწერებს, ისინი დაიბეჭდებიან ერთს წიგნად, რომელსაც თან დაპყევია მისი პორტრეტი.

„შენთან კი აი ჩა სათხოვარი გეაქეს: 1) უნდა დაწევ. რო, რასაკეირველია, ქართულად და, თუ შეიძლება, ლექსად წინასიტყვაობა, განსევნებულის ბიოგრაფია და ძეგლისთვის ეპიტაფია, და 2) უნდა გამოვზანო, თუ გაქეს რომელიმე მისი ლექსი ან წერილი, რომელიც გამოდგებოდეს დასაბეჭდად, და აგრეთვე 80 მანეთი, რომელიც შენმა ძმამ ზაქარიაშ მოაწერა შენ მაგიერ.“*)—არ ვიცი ბედი ქართლისა როგორ უნდა დაიბეჭდოს, რადგანაც ზოგიერთი ალაგი ძალიან თაეისუფალი არი, თუ გასწორდება, კარგათ იცი ბევრს დაპყარვაეს მოელი პოემა, მაგრამ ამის ამბავსაც შევატყობინებ რასაც ეარჩევთ“.

სამწუხაროდ, მეგობრების სურეილი ექრ განხორციელდა, შეგროვეილს ფულს სხვა დაინიშნულება მიეტა და მხოლოდ ოც-და-ათის წლის შემდეგ, 1875წ., ელიზა ბარათა შეილის ლექსებს ერთს წიგნად გამოცემა. მანამდის კი მისი ლექსები ერცელდებოდა ხალხში ხელოთნაწერებით და იბეჭდებოდა ცალკე სხვა-და-სხვა ქართულს ეურნალებში. პირველი გამოცემა ლექსითა კრებისა არ იყო სრული, აკლდა ზოგიერთი ლექსები და არც წერილები იყო მათთან დაბეჭდილი. მეორე გამოცემა დაიბეჭდა 1879 წ., მესამე—1886 წ., მეოთხე—1890 წ. მეორე გამოცემა გადაბეჭდილია პირველითგან უცვლელად. მესამე გამოცემა შეესებულია

*) აქამდის ეს წერილი დაწერილია რუსულად, ამის შემდეგ კი, ისე როგორც ზემოად მოყვანილი შენიშვნა, ქართულად.



ხუთის ლექსით*) და რვა წერილით. მეოთხე გამოცემაში მაქ-
ცეულია მეტი მხოლოდ ორი ლექსი, რომელიც მესამეში
არ იყო.**) ახლანდელი გამოცემა არის მეზუთე, რომელ-
შიც მოთავსებულია პოეტის ყველა წინად დაბეჭდილი
ლექსები და წერილები, და აგრეთვე ეძესი ახალი წერი-
ლი.***)

ბარათაშვილის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები მის
წერილების გარდა მოიპოვება შემდეგს ნაწერებში: 1)
ნიკოლოზ ბარათაშვილი (1816—1845) ჭ. მთაწმინდელისა,
ტფილისი, 1885 წ. 2) თ. ნ. ბარათაშვილი კონსტანტინე მა-
მაცაშვილისა. ტფილისი, 1893 წ. და 3) ი. მეუნარეგიას
სტატია გაზეთს ივნისიდან 1893 წ. №№ 85 და სხვ. ცხოვ-
რება და პოეზია თ. ნიკოლოზ ბარათაშვილისა.

*) შემდეგი ლექსები: 1) ძაბა გ—რს, 2) დამე უაბასზედ, 3) ნა...
ფორტეპიანოზედ მომდევნობი, 4) როს ბედნიურ კარ შენთან
ურთინობა და 5) ცისა ფერს, ღურჯსა ფერს.

**) შემდეგი: 1) დაშქრობა ქართველთა კაცებსზე და 2) კლო-
ცა დღეს ჩემის გაჩენის, ბედნიურ კარ მე თასი.

***) იხ. წერილები I, II, VI, VIII, IX და XI.

ცოლგები თ. 6. ბარათაშვილის ავტოგრაფების

შესახებ

თ. 6. ბარათაშვილის თხზულებათა გამოცემის დროს ხელში გვეკონდა, წერილების გარდა, სამი აეტოვგრაფი პოეტის ლექსთა კრებისა: 1) ე. თავაძეშვილისა, 2) ქნევინა ბარბარე მელიტონის ასულის გეზარიშვილისა და 3) კ. გუნიასი.

ე. თავაძეშვილის ერთიანტი წარმოგევიდგენს ორს განცალკევებულს წიგნს. პირელი წიგნი 19, 5 × 13, 5 სანტიმეტრი, შეიცავს ლექსების კრებას, 1843 წლამდის დაწერილს. წიგნს შემდეგი სათაური აქვს: ღვესნი, თქმულნი თავადის ნიკოლოზ ბარათაშვილისგან 1843. პირელ ლექსად მოყენილია «ბულბული კარზე ქედა» და უკანასკნელად «სულო ბოროტო». ყველა ლექსის ბოლოს ნაჩენებია დაწერის წელიწადი. ლექსები საზოგადოთ ქრონოლოგიურის წესით არის დაწყობილი, ხოლო ორს შემთხვევაში ეს ქრონოლოგიური წესი ირლევა: 1839 წ. დაწერილი ლექსი «თავადის ჭ... ძის ასულს ეპ... ნას» მოთაესებულია ლექსის «ნონგურს», შემდეგ, რომელიც დაწერილია 1837 წ. ლექსი «დმიტრეს მნათა... დაწერილი 1840 წ., მოთაესებულია ლექსის «ჩემთ მეგობართ», შემდეგ, რომელიც 1841 წ. არის დაწერი-



ლი. მიუხედავად ასეთი მოელენისა ჩეენ ამ გამოცემისას
დროს ქრონოლოგიური წესი დაუიყენით. წიგნი შეიცავს
სულ 45 ფურცელს, რომელთა შორის დაწერილია მხო-
ლოდ 28 ფურცელი, დანარჩენი ცალიერია. წერა აქ
სათაურის გარდა ნუსხური მხედრულია, ჩეულებრივად
ლამაზი და საზოგადოდ წერილი. წიგნი ლამაზის ყდით
არის შეკრული.

მეორე ხელნაწერი ე. თაყაიშვილისა, $15,5 \times 12,5$
სანტიმეტრი, შეიცავს მხოლოდ თხზულებას «ბეჭი ქართ-
ლისა», ლამაზის ყდით შეკრულს. «ბეჭი ქართლისა» პირ-
ელ ხელანწერში არ მოიპოვება. საზოგადოთ პოეტს ეს
თხზულება არ შეაქვს ლექსთა კრებაში, არამედ ყოველ-
თვის ცალკე წიგნათ სწერს, როგორც ამასევ ეხედავთ
ჩეენ ვეზირიშვილის გარიანტში. სათაური «ბეჭი ქართ-
ლისა» დაწერილია. ხელჩართულათ, ანუ გრეხილით. შე-
სავალი «ჯახთა მიმართა» ნაწერია მრგვალის მხედრულის
ხელით, ხოლო დანარჩენი ნაწილი თხზულებისა ერთობ
წერილის და ლამაზის ხელით. ამგვარათ ეს აეტოვჩაფი
წარმოგეიღგნს ყოველგვარს წერას პოეტისას და დიდის
მოწიწებითაც არის გადაწერილი. ზემოხსნებული აეტო-
ვჩაფები პოეტისა ე. თაყაიშვილმა წერა-კითხვის საზოგა-
დოების წიგნთ-საცავს შესწირა (№№ 2516, 2597). შემომწირ-
ელს ისინი შეუძენა 1887 წ. პეტერბურგში ბუკინისტი-
საგან სხვა ქართულს წიგნებთან ერთად. აი ამაზედ ითქ-
მის სწორეთ: *habent sua fata libelli.*

კნეინა ბარბარე მელიტონის ასულის ვეზირიშვილის
გარიანტიც ორ წიგნათ განიყოფება. ერთი 21×13 სან-
ტიმეტრი, შეიცავს პოეტის ლექსებს, გარდა აბეჭი ქართ-



ლისა”, იმავე რიგით დაწყობილს, როგორც ე. თაყაიშვილის შეიღლის ვარიანტშია. ეს ლექსთა კრებული უნდა იყოს გადაწერილი 1843 წ., თუმცა ეს სათაურილებან არა სჩანს. სათაურიში მხოლოდ სწერია: ლექსნი, თქმული თავადის ნ. ბარათაშვილისაგან. ამას შემდევ ხაზია გასმული და ხაზს ქემოთ უნდა ყოფილიყოს წელიწადი ლექსების გადაწერისა, მაგრამ ეს ვიღიასაც ამოუფეხებია. რომ ეს ლექსთა კრება პოეტს გადუწერია 1843 წ., როგორც ე. თაყაიშვილის ვარიანტი, ეს იქიდვან მტკიცდება, რომ ამ კრებულში არ მოიპოვება არც ერთი ლექსი შემდევს წლებში დაწერილი. განსხვაება ამ ხელნაწერისა ე. თაყაიშვილის ვარიანტისაგან მხოლოდ იმაშია, რომ ვეზირიშვილის ვარიანტში ერთის ლექსით მეტია: ბოლოში მოთავსებულია ლექსი უთარილოთ „შეეიშჩობ ცრემლებს“, რომელიც იმავე 1843 წ. უნდა იყოს დაწერილი. სულ ბოლოს არა პოეტის ხელით მოყვანილია ლექსი «დიდა» (ას! დიდა, დიდა, კუდა, სანატრეჭო, და სსკა), შემ. დე 25 ფურცელი ცალიერია. სულ ხელ-ნაწერში 57 ფურცელია. წიგნი ყვით არის შეკრული.

მეორე წიგნი კნეიძა ვეზირიშვილისა, $18 \times 12,5$ სანტიმეტრი, შეეცას თხშულებას და ქართლისა, ლიბერ ქალალდჲე დაწერილს ნუსხა მხედრულის ხელით, გარდა სათაურისა, რომელიც ხელჩართულია. ტექსტს უჭირავს 28 ფურცელი, შემდევ ცამეტი ფურცელი დაუწერელია. წიგნი ყვითანია. ეს ორი ხელ-ნაწერი, როგორც მოვიხსენეთ, ეკუთხის კნეიძა ბარბარე მელიტონის ასულს ვეზირიშვილისას, მევიდრ დას პოეტისას, და დროებით გვათხავა ამ გამოცემისათვის, რისთვისაც წ.—კ. გამავრცელებელი სა-



ზოგადოების გამგეობა გულითადს მაღლობას უკადებს კნეინა ბარბარე მელიტონის ასულს.

ეალერიან გუნიას ეარიანტი, 17×12 სანტიმეტრი, წარმოგეიდგენს პატარა უყდო რევულს. თავში პირეელს გვერდზე სწერია მრგვალის მხედრულის ხელით: „1841 წ. ოფიციალისი.“ მეორე გვერდზე კვითხულობთ:

„დაო მაკაო! ეს ლექსები იქონიე ჩემეულად.—ეიცი, რომ წამყითხეელი მათი მოიგონებ ბეერთა საამოთა დღე-თა ყრმაწეილობისათა, და შემიბრალებ შენსა ყარიბსა ძმასა: თი ნ. ბარათაშეილი“.

შემდეგ მოყვანილია ლექსები: 1) ბულბული ეარდ-ზე, 2) ქეთევან, 3) ძია გ...სთან, 4) ლამე ყაბახზედ, 6) ფიქრ-ნი მტკვრის პირათ, 7) ნაპოლეონ, 8) ჩემს ვარსკელავს, 9) ჩონგურს, 10) საყურე და 11) ჩხეილი. არც ერთის ლექსის დაწერის დრო, გარდა პირეელისა, ნაჩერები არ არის. სულ ხელნაწერში 17 ფურცელია, რომელთა შორის ოთხი უკანასკნელი დაუწერავია. ხელ-ნაწერი ე. გუნიას ტფილისის ბაზარში უყიდია და ეხლა წერა-კითხეის საზოგადოების წიგნთ-საცავს შემოსწირა (№ 2701). ეს ეარიანტი იმით არის საყურადღებო, რომ ორი ლექსი: „ძია გ...თან“ და „ლამე ყაბახზედ“ მარტო ამ ეარიანტშია და ე. თაყაიშეილის და კნეინა ეეზირიშეილის ვარიანტებში არ მოიპოვება. *) ეს გარემოება გვაძლევს საბუთს ეიფიქროთ, რომ თეთო პოეტს ლირსეულად არ დაუნახავს ამ

*) მეორე ვარიანტი ამ ლექსებისა დაცულია თ. გრ. ოჩბელიანის წერილში (იხ. წერელი I).



ლექსების შეტანა თავისს კრებულში და თუ მაიკოს კრებულში შეუტანია ეს ლექსები, სწორეთ იმიტომ, რომ მის ახლო პირს და ნათესავს ეხებიან ისინი.

ეს სამი აეტოგრაფი ლექსთა კრება პოეტისა გეაჩენებს, რომ ნ. ბარათაშვილს ჩეცულებათ ჰქონია, ჩენდა სასიამოენოთ, გადაწერა თავის ლექსების კრებულისა თავისავე ხელით და დარიგება მათი ამხანაგებში და ნაცნობებში. ამას გარდა პოეტი აერცელებდა თავისს ლექსებს მეგობართა შორის წერილებით, როგორც ამას მყითხელი ხედავს ამ გამოცემაში დართულის წერილებიდან. ტექსტი ამ გამოცემისა უმეტეს შემთხვევაში დამყარებულია ე. თაყაიშვილის ეარიანტზედ, რადგანაც ეს ეარიანტი სხვებზე უფრო მეტის მოწიწებით არის გადაწერილი. ცელილებანი ეეზირიშვილის ეარიანტისა დაწერილებით აღნიშნულია სხოლიოებში. სამწუხაროდ ჩენდა სხოლიოებში ეერ უუჩენეთ განსხვავებანი ე. გუნიას ეარიანტისა, რადგანაც ეს ეარიანტი მაშინ მიეიუეთ, როდესაც უმეტესი ნაწილი ლექსებისა დაბეჭდილი იყო. ამ ეარიანტის მხოლოდ უმთავრესი განსხვავებანი ბოლოში მოვაქციეთ. თუ საიდგან არიან ამოლებულნი დანარჩენი ლექსები, რომელნიც ჩენს აეტოგრაფებში არ მოიპოვებიან, თავთავისს აღილს არის ნაჩენები.

გარდა სამის აეტოგრაფის წიგნისა, ამ გამოცემის დროს ხელთა გვქონდა შემდეგი აეტოგრაფი ლექსები და წერილები პოეტისა:

1) ლექსები, რომლებიც ბარათაშვილს გაუგზანია გრ. ობელიანისთვის: ა) კვერვე ტაძარი, ბ) მირბის მიმაფრენის, გ) საფლავი ივერიისა და დ) სულთ ბოროტო.

2) ლექსები, რომელთიც გაუგზავნია პორტს მაიკლ
ორბელიანისათვის: ა) სატრფოო მასსოვას, ბ) არ უკავიანო
სატრფოო, გ) ვეტოვე დაბარი, დ) ქადას უკავილია და მწირი
და ე) დამჭროლა ქარმან სასტრიქმან. წერილები:

- 1, მიწერილი თ. მ. ბ. თუმანიშვილის მიმართ 6 აგვისტოს
1838 წ. ტფილისით.
- 2, — თ. გრ. ორბელიანის მიმართ 28 მაისს 1841 წ.
ტფილისით.
- 3, — მის მიმართვე 18 იკტომბერს 1841 წ. ტფი-
ლისით.
- 4, — მის მიმართვე 2 მაისს 1842 წ.
- 5, — ქნ. მაიკლ ორბელიანის მიმართ 31 აგვისტ.
1842 წ. ტფილისით.
- 6, — თ. გრ. ორბელიანის მიმართ 21 იკტომბ.
1843 წ. ტფილისით.
- 7, — თ. ზაქ. ღ. ორბელიანის მიმართ 15 აპრ.
1844 წ. ტფილისით.
- 8, — მის მიმართვე 10 გაისს 1844 წ. ტფილისით.
- 9, — მის მიმართვე (უნდა იყოს დაწერილი აგვისტ.
1844 წ. ტფილისით).
- 10, — ქნ. მაიკლ ორბელიანის მიმართ 9 თებერ.
1845 წ. ნახჩენით.
- 11, — მის მიმართვე, უთარილოდ (უნდა იყოს დაწე-
რილი 1845 წ. ნახჩენით).
- 12, — მის მიმართვე 10 აგვისტ. 1845 წ. მუსუტით.

დანარჩენის წერილების აეტოგრაფები ჩევნ არ გეძოვავთ
ნია ხელთა და გაღმოწერილებია სხვათა გაღმონაწერე-
ბითვან, როგორც ნათქეამია შენიშვნებში. თავთავისს ად-
გილას.

— 400 —

Եղիշե հոգութեալ յստե զայցուս-Եղուրճ և աշնաւ,

Կերպ յըսուս աղջրու-ո ամ, զայեաւ դաւ-աւ-անս.

Տիկ յստո յրից, և ու ուժեցու զայքահար ու ակցաւ,

ուրե եղաւ-առ, ք եւ զլունց ահ ոգիսեցւ!

1837.

Եղիշե Եղուրճ



ლექტინი

ნიკოლოზ გარეთაშვილისა

ბულბული გარდზე.

ბულბული გარდზე მცდარი, ეტერდა მას მსტეინავი:
„გარდო, გარდო, მტანჯ ჩემო, გვედრებ გულით მტეინავი,
მაღიარსე, თუ როგორ არს გაშედა შენი მდინავი,
მწესრსა აქეთ აქ კზიკარ, ფურცლებზედა მცონავი!“

ასე ჰეკუდა ბულბული, ოდესცა ლაპე ბნელი
მოაცემდა ჰელებსა; ჰქოდა ნაავი ნელი;
და როს ჰელემდა ბულბული, მაშინ აღმოჰსდა მოკარე,
გარდმანც მაშინ მოჸტინა სუნნელება მის არე.

მაგრამ მგრასანსა თურმე მოერთა გლახ რელი!
აღმობრწყინდა მთაებიც და ფრთოსანთ მხიარული
გაღობა ჰეკეს ჰეკე, განაღვიძეს ბულბული,—
ნახა გარდი ფურცენილი და მეს მოუკერა გელი!

თვალი ემოსა ცრემლით, გული სეკუდის საცლმითა,
ფრთა ფრთას ჰერა და აღმაღლდა, მსტეინავი ლმობას სმითა,
უსმო უოგელთა სირთა: „მოდით და შემოკრიბთა,
მისმინეთ, შემიბრალეთ, კის მიგმართო წელეულით?“

„განთიადით დამედმდე შეკურთხინვიდი კოკრობას,
არ კზოგავდი სიცოცხლეს, უძილობას, გალობას;
მქონდა მცირე წადილი, კურ მიგხედი¹⁾ კა მნელობას:
მსურდა გაშედა გარდისა, არ გერიქობდი და სკონბას!“

წელი 1834.

¹⁾ ვეზირიშეილის ვარიანტი სწერია: მასკედი.

ქ ე თ ე ვ ა ნ.

ქ ი რ თ ე ბ ი მოდ უ დ უ ნ ე ბ ე ნ ,
ქ ა ღ ე ბ ი ხ ე ნ ე რ ე ღ ა ბ ე ნ ,
ხ შ ი რ ნ ი ღ ა მ ა ზ თ ა ქ ი დ ე თ ა ,
მ ი ქ ე ფ რ ა დ მ დ ი ნ ა რ ი ს ქ ს ნ ი ს ა თ ა .

მიმქრქაღებული მთოეარე მოწეუნით ნათობს¹⁾ მუნ ქაღია;
მდინარის ჰირზედ ქზის იგი, კედთა ჩინგურის მცურობელი;
გიშრისა თმანი ნაშალნი, ჭრებინან სპეტაკს საცმელსა,
და ღამღერს იგი საკედავად, ცხარეთა ცრემლთა მდენელი:

„ა ვ ე ნ ა ნ ნ ი , ღ დ ე ს დ ა ქ ს ც ს რ ე თ ,
მ თ ა ს კ ე ნ ი თ ე ზ დ ე ნ ს უ დ ი ?
რ ა გ ა რ გ ი თ , რ ო მ შ ე ი მ უ რ ე თ
უ ბ ი წ ი თ ს ი უ გ ა რ ე ლ ი ?“

„გ უ დ ი ს - ქ ს წ ი რ ი , ე რ თ ი ს ც ი დ ი თ
ა გ რ ე რ ი გ ი რ შ ე ი ც ე ბ ა ღ ე ,
რ ი მ ე ტ რ ი ფ ი ბ ა ჩ ე ნ ი ა მ ს ნ ი თ
მ ა ს ა გ რ ე მ ქ ს წ ი რ ა ფ ი ლ ა ნ ა ც ე ბ ა ღ ე ?“

„თ უ გ ე რ მ ც ნ ი ბ დ ი , რ ა დ მ ე ტ ე რ დ ი :
„მ ე შ ე ნ ი გ ა რ ს ა უ კ უ ნ ი თ დ !“
ს ი უ მ ა წ ი ლ ე ს რ ა დ მ ი ღ ა ს ე ნ დ ი ,
თ უ მ ო ჭ ე ღ ა ვ დ ი ა ს ე უ დ რ ი თ !“

¹⁾ ვ ე ზ ი რ . ვ ა რ ი ა ნ ტ შ ი : ქ ი ნ ა თ ი ბ ა ს .



„რად შემიპყარ მე გდას გული,
უმანქო და უზირუნველი;
რად დამიჟვენ მე უკავილი
უმაწევილობას, კურ უმღელი!“

„ეს ნუგეშს მცემს, საუკარელო,
რომე არის სხევა სოფელი;
ოდეს ჭისცნა, რომ კარ უბრალო,
მოკედ, მოკედ, მუნ მოგელი!“

ჭისდუმდა — და მეცა კაცინა
ქეთევან ჭაროვანი,
ქეთევან ნაქები გულით,
ნაქები მშენიდერებით!

ნეტა რა ქარმა¹⁾ დაზრო მისის სიცოცხლის უკავილი?
მეც ამატიარა მის მსკედრმა²⁾, მაგრამ კურ კაცი ნუგეში:
ქეთევან შეა ქსანშია მარად შეერთო, ღეღვილი;
მსოფლოდ ისმოდა სასედია ამილბარისა ზეირთებში!

1835.



¹⁾ ვეზირ. ვარიანტში: ქარმან.

²⁾ ვეზ. ვარიანტში: მსკედრმან.



შემოღამება მთაწმიდაზე.

შემოღამება აღმაღვა, მთარ წმიდა¹⁾, ადგილი შენია,
დამაუიქერედნია, კერანანი და უდაბერნია,
კითარ ქშებიან, როს მონამენ ცეკვი ციურნია,
ოდეს საღმოს, დაჭვოთენ ამოს, ციაგნი ნებნია!

კითარი მაშინ იღუმილობა დაისადგურებს შენს არემარეს!
 რა სანახავი წარუტევებს თვალთა მაშინ შენს ტურფას სერზედ
 მდგომარეს!
 ძირს გაშლილს, დამაზს, კეღსა ეგაეილნი მოჭიერენ, კითა²⁾
 ტაბლას წმიდასა,
 და კით გუნდრუებსა სამაღლობელსა, შენდა აღგმევენ სუნნელებასა!

მასსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,
 გლდეკ ბუნდოვანო, შენს ბილიქად მიმოვიდოდი,
 და წენარს საღმოს, კით მეგობარს, შემოვეტრფოდი,
 რომ ჩემებრ იგიც იყო მწესარ და სეკდიანი!

ოჟ, კით უოველი ბუნებაც მაშინ იყო დამაზი, მინაზებული!
 ცე, ცაო, ცაო, ხატება შენი ვერ კაღებ გულზედ მაჭეს დაჩნევდი!
 აწრა რა თვალნი ლაუკარდს გიხილებენ, მეის ფიქრნი შენდა
 მოისწრაფიანი
 მაგრამ შენამდინ გერ მოაღწევენ, და ჰაერშევე განიძნევიან!

¹⁾ ვეზ. ვარიან. წმინდაზე.

²⁾ ვეზ. ვარიან. რეცა.

მე შენსა მტკრეტედს. მავიწუდების¹⁾ საწუთოება! გულის-თქმა ჩემი შენს იქითა.... ეძიბის საღვერის, ზენაართ სამუოფს²⁾, ოომ დაშოთას³⁾ აქ ამაოება,... მაგრამ კურ ჭისცნობენ გლახ მოკვდაკნი განგებას წიურს!

დაუიქრებული ვიდეგ სერზედა, და ცათა მიმართ მზარედს
ტრეჭობითა,
შემომერტყმოდა მაისის მწესრი, აღმსები ნაპრალთ მდემა-
რებითა; სანდისსან ნებად მქროლნი ნიაკნი ღეღეთა შორის აღმოკვენ-
სოდენ და ზოგჯერ ჩუმნი შემოგარენი ამით ჩემს გულსა ეთანხმებოდენ!

მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო,
ვინ მოგისილოს, ომედ მეისკე თვისთა ფაქტთ შეება
არა იპოვნოს და არ დაჭისნას გულსა კაება,
გულ-დასურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!

ჭისდება უოველი მენ არემარე; ბინდი გაჯეკრა წისა
შესდევს⁴⁾ მთოვარეს, გათა მავწნერი, კარსკველაკი მარტო მისა
ამარას; გინახავთ სული, კურეთ უმანკო, მსურეალე ღოცებით მიქან-
ცებულია? მას ჭიავდა მთვარე, ნაზად მოვარე, დისკო გადასრით შექ-
მიბანდულია!

¹⁾ თაყაიშვილის ვარიან. მავიწუდება.

²⁾ ვეზ. ვარიან. სამუოფთ.

³⁾ ვეზ. ვარიან. დაჭიშოთს.

⁴⁾ თაყაიშვილის ვარიან. მოსდევს.



მ გვარი იქო მთაწმიდაზედ შემოღამება!
ჯი ადგილო, მასსოვს, მასსოვს, რასაც კითაჭრობდი
მე თქვენთა შორის და ან რასაც აღმოვატეოდი!
მსოდოდ გული¹⁾ ჰგრძნობს, თუ კითარი ჭისძვენით მას შება!

ჯი საღამოვ, მუკდროვ, საამოვ, შენ დამშოდ ჩემად სა-
ნუგეშებლად!
როს შემუნეარება შემომესევის, შენდა მოვილტეი განსაჭარებ-
ლად! ²⁾
მწესრი გულისა—სკადა გულისა—ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დიღა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განა-
ნათლებს!

1836.



¹⁾ ვეზირ. ვარიან. სული.

²⁾ ვეზირ. ვარიან. განსაჭარებლად.

კმა ოდუმალი.

კისი კმა არის ეს საკუროველი?¹⁾
რად აქეს გული ესე ჩემი ნაღველი?

რა კესცან პირელად წეთი სოფელი,
დაქშოთ ადგილი, სადაცა წროველი
რჩიოდა ნათლად დრო უმაწვილობის
ქსწორთა, თანზრდილთა, მეგობართ შორის,—
მას აქეთ კმა რამ თან ქსდეს უღელთა
ჩემთა ზრახეათა და საწადელთა!
ცხადად თუ სიზმრად, მე ოგი²⁾ მარად,
სულ ერთსა მიწერთნის გულისა ჭირად:

უძია, უმაო, შენ მხედრი შენი,
კინძღვი იპოვნო შენი საშენი! „
მაგრამ მე მხედრისა ჩემსა გერ გემოვებ,
და მით კაშანს გერდა გიშორებ!

ნუ თუ კმა ესე არს კმა დევნისა
შეუწევადისა სინიდისისა?....
მაგრამ მე ჩემში გერ გემოვებ აკა,
მისს საშოთებელოს და საქენჯნაკსა!

¹⁾ ვეზ. ვარიან. საკუროველი.

²⁾ ვეზ. ვარიან. ოგი მე.



ანგელოზი სარ, მფარველი ჩემი,
ან თუ ეშმაკი, მაცოური ჩემი,
კინცა სარ, მარქვი, რას მომისწაებ,
სიცოცხლეს ჩემსა რას განუმზადებ?
როს გჭირნა მე შენი საიდუმლობა,
როს მსვდეს ამ სოფლად ჩემი წილობა?....

1836.



ფიქრის მტკქრის პირას¹⁾

არედ წეაღის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად;
 აქ ეყმიებდი ნაცნობს აღგიღს განსასკენებლად;
 აქ ღბიღს მდელოზედ სანუბაშოდ კინამე ცრემლით;
 აქ²⁾ უოკელი აჩემარე იყო მოწევნით:
 ნელად მოღელას მოღელენე მტკქარი ანკარა,
 და მის ზეირთებში ქერთის ღაუქარდი ცისა კამარა.

იდავე ღაურდნობილ უკას უგდებ მე მისსა ჩისრიალსა,
 და ოკაღინი ქრისან შორად, შორად, ცის ღასაკაღას!
 გინ იცის, მტკქართ, რას ხუტბუტებ, კისთუს რას იტუკა?
 მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტუკა!...
 არ კიცი ამ დროს ჩემს წინაშე ჩენი ცხოვრება ~~X~~
 რად იყო ფუტი და მხოლოდა ამაოება?...
 მაინც რა არის ჩენი უოფა — წეობ სოფელი,
 თუ არა ღდენ საწეაული აღუკსებელი?
 გინ არის იგი, გის თვის გული ერთკლ³⁾ აღეჭსოს,
 და რაც მიეღოს, ერთკლ⁴⁾ ნატკრით, ისი კემაროს?

1) ვ. ვარიან. პირზედ.

2) ვ. ვარიან. აქაც.

3) თაყაიშ. ვარ. ერთსელ.

4) თაყაიშ. ვარ. ერთსელ.

თკითონ მეფენაც უძლეველნიც¹⁾), რომელთ უმაღლესი
ამათ სოფლად არღა არის სხეული რამ დადება,
ჰშფოთგენ და დოტენგენ, და იტევან: „როდის იქნება
ის სამეფოცა ჩენი იყოს,” და აღიძვრიან
იმაკ მიწისთვის, რაც დღეს თუ სკად თკითუ არან!...

თუნდ კეთილ მეფე, როდის არის მოსკენებული?
მისი სიცოცხლე: ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული;
მისი ფიქრია, თუ კით უკეთ მან უპატიონოს;
თავისს მამულსა, თვისთა შეიღთა, რომ შემდგომსა დროს
არ მისცეს წევეგით თვის სახელი შთამამავლობას!...
მაგრამ თუ ერთგელ²⁾ სოფელსაც უნდა ბოლო მოედოს,
მაშინ კიდამ კასთებას მათი საჭმე, კინ სადღა იყოს?...
• *)

მაგრამ რადგანაც ქაციი გვაჩიან — შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივდოთ მას, გეესმას მშობლისა.
არც ქაცი კარგა, რომ ცოცხალი მკედარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!

1837.

¹⁾ ვეზ, ვარიან. უძლეველნიც.

²⁾ რაყაიშ, ვარ. ერთსედ.

^{*)} ნამდვილშიაც აქ წერტილებია.



ჩ ო ნ გ უ რ ს.

ქენი მოთქმანი, კაუშნის კმანი,
სანცა ოსურანი, სანც ამოსევნანი,
წარსრულთა დროთა მოგონებითა სულს აფიჭრებენ!

კი ჩონგურო, ნეტავი თდეს
კმა მსიარული შენგან მსმენოდეს,
რომ გაუმუროდეს მე სეკდანისა გულისა სენი!

მაგრამ სად გნახო, შენი ღიმილი,
სისარულთა გამოჩენილი?
მე შენგან მესმის მოყდულის გულის თდენ ჩივილი!

1837.





რემს გარსკვლავს.

ად მრისსანებ, ჩემის ბედის კარსკვლავო?
მაინც გეტრივი, თუმცა სშირადა მქლავო:
შეეთვისა სული შენსა მოღრუბლებას,
შეწევა გული სევდითა გრთოლევას!

ნე გგონია ბედსა მით დამიმწარებ,
რომ უეცრად ბუქით ნისლს მოიფარებ;
შენ არ იცი, რა სიამეს მომაგებ,
როს მიბუუტივთ ნისლით გამო მონათებ.

რა სახითაც გინდა შენ მე მეჩენო,
მაინც გიცნობ, მშენიერის ცის მოქნო:
ნათელი სარ შენ ნათელის სულისა,
მაღსინებელ დაბინდულის გულისა!

მოციმციმდი, მოდი გამომედარე,
შენგან პნელი გული გამომიდარე;
ჭელავ ციური ცეცხლი გარმოისარე,
ნაბერწეალნი ეშისა მომაყარე.¹⁾)

1837.

— 40 —

¹⁾) ვეზ. ვარიან. მამაუარე.



ნაზოლეონ.

Gამოღეონმა გარდმოაკდო თეატრი ქრისტიანს,
და ჟისტეკა: „ამათ კედმწითებაში რა შემიძინა?“
და რა ისიდა თვისის დიდების მსხვერპლი თვის წინა,
მასს მოღრუბლების შებედს შექი რაღაც გარდაეფინა.

„ასლა ეი ქმარა, ჟისტეკა მან გულში, სურეა აღმისდა:
სასელი ჩემი კასახელუ ქარენის საოცრად,
შეგმოსე ძალით საკუარელი ჩემი საშენად
და დაკუმონე¹⁾ გულმტკიცენი მას სადიდებლად.“

„მაგრამ მე გეამში სული კერდა მომთავსებია!
მითხვავს გეიორგეინსა დიდებისას მე თვითონ ბედი,
ხოლო მე უნდა მას მოვასხნა ²⁾ შარავანდედი;
უმი ჩემია და უამისა მე კარ იმედი!“

„მაგრამ კინ იცის, იქნება რომ ბედსაც მოვისწინდე,
და სხეა მან ჩემის სასელითა დააგვირგეინოს!...
არა, არა მიწამს, რომე ბედმა მე მიორგულოს:
მე³⁾ მან გამზარდა, და თვისის გაწერთნიდს რადა მიხერხოს?“

¹⁾ თაყაიშ. ვარიან. დაუმონე.

²⁾ ვეზ. ვარიან. მოვასხა.

³⁾ თაყაიშ. ვარ. მენ.



„გერი გაუძლებს ნაპოლეონ მეტოქებსა! რა გინდ ძლიერად, მეცნიერად, ვინ გეზმწითებდეს, მაინც მე იგი გერ ვითვისო, გერ ჩემოდნობდეს, თვითონ სამარეც მევიწროოს, თუ ტოლი მევანდეს!“

ბერი დღე გავა, რომ კერ ბერი გერ გენით 1) ჩენ მისი! თვითონ სიკედილიც მას უებროდ აღმოგეაჩინებს: დამქრალი ცეცხლი და ზღვის ღეღვა წარმოგვადგინებს მისს 2) ცეცხლსა სულსა და ზღვა-გულსა განსაკუირკელებს!

1838.


— 49 —

1) ვეზ. ვარიან. ვესტნით.

2) თაყაიშ. ვარიან. მისისა.

თავადის ჭ... ძის¹⁾ ასულს.

კ კ . . . ნ ა ს ²⁾

 მით³⁾ მშენერით,
 ტქბილის სიმღერით,
ჭაროვანო, სულს ეღსინები;

თეალთ არონინებ,
გულს დაწყლებებ
და ღიმილითა ესალბენები!

სადც ხარ, იმ არეს
მოჰეთენ სიამეს,—
უშენოდ მოჰსცდეს მსიარებება!

უნის ენითა,
საგსე დასენითა,
გინ არა იგრძნოს გულებეთილობა!

¹⁾ ვეზ. ვარიან. ჭავ... ის.

²⁾ ვეზ. ვარიან. ექა... ნას.

³⁾ ორსაევ ვარიანტი სწერია კმით, მაგრამ, რალგან სტამბა-
ში არ იყო სათაური ასო კ, ამიტომ ხმარებულ იქნა ხ.



მასსოგეს სიაშით,
ოდეს ტებილის კმით
კარდსა და ბულბულს¹⁾ მოელსინარე,

პირმცინარითა,
სინარნარითა,
მგოსნის კარიბს გულს ესხივმფენარე!

1839.



¹⁾ აკტორის შენიშვნა: ბულბული და ვარდი ლექსია სამღერალო, ნათარგმნი რუსულიდამ თ-ის ჭავჭავაძისაგან. (გეზ. კარიანტუში: ვარდი და ბულბული ლექსია, რუსულიდამ ნათარგმნი თ-ის ჭავჭავაძისაგან).

ს ა ე უ რ ე .



ითა შემედა

არსეკს ნეღნედა

სპეტაქს შროშანას, დამაზად ახრილს,

ასე საუკურე,

უცხო საუკურე,

გთამაშება თავისისა აჩრდილს.

ნეტავი იმას,

კინც თავისის სუნთქვას

• შენსა ნერდილ შია მოიბრუნებდეს!

შენის შერსევით,

სიო მობერვეით

გულისა სიცხეს განიგრილებდეს!

ჯი საუკურე,

გრძნებით ამრეო¹⁾,


გინ ბაგე შენს ჭეშ დაიტებარუნოს?

მუნ უკედავების

შარბათი კინ სეის?

გინ სული თვისი ზედ დაგავოს?

1839.



¹⁾ თაყ. ვარიან. ამრეკო.

ჩ ჩ ვ ი ღ ი.

მიუგანს, მიუგანს, მე ტიყტიყდი ჩჩებალის ურშის,
მიუგანს სმენა უცნაურისა მას კმის,
ოდეს იგი ენითა სასუფეელის
უალერსებს წიაღთა თავის მშობლის!

მის სოფელი უზრუნველობით ქშენობს;
გარდა დედის აღერსისას არ რას ჰერძნობს;
ნებიერობით და დამილით სულდგმულობს;
უოგელსაკე შეუპოვრად მცირეტელობს.

არა ფიქრობს იგი თავისს ცხოვრებას,
არ განიცდის იგი საწუთოს კნებას;
იგი თავის სანუქეელითა შობით
ამუნათებს თვითითა მშობელთ პირიქით.

ატიყტიყე ენითა უსუსურის,
ატიყტიყე კიდრე ქამი დაგხარის,
კიდრემდის სარ, ურშაო, თავისუფალი,
არ გაცენდა სოფელი მომდერალი!

1839.





სული თბოლი.

ს კინ იტევის თბლობისა კაებას,
ნე კინ ჭიშივის თავის უთვისტომიბას,—
საბრძლოა მხოლოდ სული თბოლი:
მნედა ჭიშოვის, რა დაკარგოს მან ტოლი!

მეგობართა, ნათესავთ მოქლებული,
ისევ ჩქარად ჭიშოვებს სანაცვლოს გული;
მაგრამ ერთხელ¹⁾ დაბოლებული სული,
მარად ითმენს უნუგეშობას კრული!

არღარა აქვს მას ნდობა ამა სოფლის;
ეშინიან, იყრმალევის, არღა იცის,
გის აუწეოს დაფარული მან გრძნობა,
ეფიძრება ტელმეორედ მას ნდობა!

მნელი არის მარტოობა სულისა:
მას კლტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ასსოვს მას დაკარგება ჭიშორისა,
ოსკრა არის შეება უბედურისა!

1839 წ.

— 45 —

¹⁾ ვეზ. ვარიან. ერთხელ.

პ ე დ ი ქ ა რ თ ლ ი ს ..

თქმული

წელს 1839-სა, ტფილისშ.

ქანთა მიმართ.

ქ მანთ კახელნო, ნამდგიღ ქართველნო, მოღხინე სუ-
ლით,
თქვენში აღზრდიღა შატარა კახი მეფედ და გმირად;
თქვენ გიევართ მასთა დროთა სსენება მხურვალეს გულით,
როს თქვენებრ მღხენი ეფლინებოდა მტერსაც გამგმირად!

და რაც საეკარდის ჩეენის ირაკლის ფამმან მეფობის
მოუგდინა აწ გამოსატეასა ჩემს ემაწევილობის,—
მეტ, მმანთ კახნო, თქვენ შემოგიმღვნით მას არმაღნად,
ერთ-სულობისა, გაფეხტობისა, ღხინის საგანძად.

როს თქვენებურად მამულის ღვინით გულს ახარებდეთ,
ჰელთ ჭამის მშერობნი წარსულსა დროებს მოიხსენებ-
და მორიგისად სმიდეთ წინაპართ შესანდობარსა, და¹⁾
მოიგონებდეთ ერიბს მღვისანსაც, თქვენდა მბობარსა!

თ-ი ნ. ბ. 2.)

¹⁾ ვე. ვარიან. მოიგონებდეთ.

²⁾ ვე. ვარიან. ამ შემოკლებულ სამის სიტყვის მაგიერ ზის + + +

ბ ე დ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა.

გ ა რ ი შ ი რ გ ე დ ი.

Qწევმსო კეთილო, შენს წმიდას სამწესოს
შემოვაევდრებ ჩემსა სამეფოს!
გულთა-მხილაკო, შენ უწევ, რაც დღეს
საქართველოსა ჭირნი მოადგეს!
მრავალ არიან, უფალო, მტერნი
და წარიტაცონ შენი ცხოვარნი!
გეესწრავე¹⁾ ჩექნო კელთაღმშერობელო,
და აღადგინე დღეს საქართველო! —


ასე იღოცდა მეფე ირაკლი
ბანაკისა თვისისა გულით მსურვალი.
ცათა წინაშე დიდია მსხვერპლი
მამულისათვის²⁾ მეფისა ცრემლი!

ბატონის თვის კარი კრწანისის მინდვრად
დაებანაკა სპარსთან საომრად;³⁾
ბატარა კასი აღამაჭად-ხანს
უპირებს შებმას ძღიერს რისხეიანს.

¹⁾ ვებ. ვარიან. გეესწრავა.

²⁾ ვებ. ვარიან. მამულისათვის.

⁴⁾ ვებ. ვარ. ქართველთა კართა კრწანისის მინდვრად
დაებანაკათ სპარსთა საომრად;



ამ დროს გამოჩნდა¹⁾ სამხრეთით მტერი.— და მოწმენდილი, ცა მშენიერი
ზედანათლიდა ბრძოლისა კელსა
და ირაკლიცა ჭარსა ქართველსა
განამხნებდა მამობრივის კმით:²⁾
«ქსედაკო, კითარის კადნიერებით
შეკრბების ჩექზედ უსჭუდოება!³⁾
საქართველოს დღეს გარდაუწედება
თავისი ბედი და უბედობა!
დღეს ეჭირება მამულს მხნეობა!
დღეს მეცა თქეენში კარ მეომარი,
კითა თქვენგანი ერთი მხედარი;
დღეს გამოჩნდება, კინ არს ერთგული,
კის უფრო გაიყვარს, მმანო, მამული!»

«შენი გამჩენის ჭირიმე, შენი,
რომ გაგვაგონე ქვედავ ხმა⁴⁾ საღსენი!»
შებდაქლა მეფეს ჭარმა ერთის კმით.⁵⁾
«ჩექ თუნდ სულ ერთს⁶⁾ დღეს დაკიხოცებით,
ოდონდ შენ იუავ, მეფევ, დღეგრძელი!
მტერი რა მტერი, თდეს ქართველი
ბატონს ირაკლის ნუგაშად ქსედაკოს,—
მისთვის სიცოცხლეს კინდა დაზოგავს!»

¹⁾ თაყაიშ. ვარიან. პლამოჩნდა.

²⁾ ვეზირ. ვარიან. ხმით.

³⁾ ვეზ. ვარიან. უქსჭუდოება.

⁴⁾ თაყაიშ. ვარ. ეს სიტუაცია გამოტოვებულია.

⁵⁾ ვეზირ. ვარიან. ხმით.

⁶⁾ ვეზ. ვარ. ერთ.

ნეტარ მეფისა გუდს მამობრიუდს,
ოდეს მოუმენი, კით მამას შეიღნი,
განუცხადებენ თავისს სიუკარუდს!

დაჭერეს ნაღარა, გუდნი შეზარა
და მტერთ საომრად ჭარნი შეჲყარა.
ქმა ნაღარისა, ქმა¹⁾ ეს ბრძოლისა
კით არ აღგანთებს, გმირთ ქართლისა!
მხდალსა, განამხნევს, მსნეს, განაღვიძებს
და მიჭნურისაცა სუდს შეუშფოთებს!²⁾

შექმნათ მწარე, ძლიერი ომი;
კითა ნადირისა მშიერი ღომი,
ეპეთნენ სპარსთა იკერთ მხედარნი,
და მტერარისა შერთეს სისსლისა ღვარნი!
ორნიგ აბრძეან გამწარებულნი,
ორნიგ ომებში გაქეზებულნი;
თამაზ, ენისენთ მოურავის ქე,
და იოანნე ქახო ჩააშიძე³⁾
განუმტეაცაბდენ მედავთა ქართველთა;
მეფის ირაკლის ღვაწლი უოკელთა
შთაუდგამს სუდსა კაუკაციისას,—
მაინც გერ ჭედებენ ბოლოს ბრძოლისას.

¹⁾ ვეზ. ვარიან. სმა.

²⁾ ვეზ. ვარ. მხდალო, განგამხნევს, მხნევ, განგაღვიძებს
და შენც მიჭნურო, სუდს შეგიშვოთებს!

³⁾ ვეზ. ვარიან. სომხეთის გმირნი, ყაფლანის შეიღნია,
და მათ მომარცხენედ ბარათაშეიღნია,

რა ნახეს; ქართველთ გატირდა საჭმე,
მეის ჩაიგეცეს ქუდებით თურმე,
კრმალს¹⁾ კელი იკრეს მამაპაპურად
და დაერიგნენ თავისებურად!

ბინდმა განჭეარა²⁾ მებრძოლანი მტკრნი.
გამარჯვებულნი დარჩინენ იყერნი;
მაგრამ რა მეფე კარსა უუკრებს,
მას გამარჯვება არღა ახარებს:
ძვირად დაუფდა იგი ირაკლის!
მრავალთ უმაწევად-ქაცი,³⁾ ნუგეშთა ქართლის,
დასდევეს⁴⁾ აქ თავი მამულისათვის!...
აწ საფლავიცა არსად ჭისჩინს⁵⁾ მათთვე;
ჭარში განჭერა მათი სახელი,
და არსად უამთა მოწამე ქებლი⁶⁾
არ გვიჭადაგებს მათთა საჭმეთა;
დუმილნი ჭითარენ ერთგულთა ძეთა!...
მაგრამ, ჯო გმირიო, ნუ შეშეოთდებით,
თქენი სასსოფარი გაძეოთ თეთა განგებით:
რაც ერთგელ ცხოვლად სულს დაჩნდების,
საშვილი-შვილოდ⁷⁾ გარდაეცემის;⁸⁾

¹⁾ ვე. ვარიან. ხრმალს.

²⁾ ვე. ვარიან. განჭეარა.

³⁾ ვე. ვარ. უმაწევადთ ქაცი.

⁴⁾ ვე. ვარიან. დაჭისდეს.

⁵⁾ ვე. ვარიან. არს.

⁶⁾ ვე. ვარიან. და უამთ მოწამე სადამე ქებლი.

⁷⁾ ვე. ვარიან. საშვილისშვილოდ.

⁸⁾ ვე. ვარიან. გარდაიცემის.



ქართლი თქენის ღვაწლსაც კერ დაღუშებს,
აღა-მაჭად-ხანის გადრე ასექნებს!

მეფემ უბრძანა თვისთა მოკელეთ:¹⁾
«გეიაზობს რომ ასლავ ქალაქს მიკამცეთ
და ციხე ჩენი მესწრაფელ გაეამაგროთ,
თვარემ²⁾ ხელ სიმსნით გერა გაეაწეოთ,
აღა-მაჭად-ხან რა აქა გვნახავს;
ხომ იცით კარი დიდ-ძალი ასლავს,
და იქნება, რომ ციხეში დაკადეთ,
ჩენის ძალისა ფიქრი მიეცეთ.—
მყელადგან ასე ნაამბობა:
«რომ ზოგვერ სერხი ღორნეს ჭიშკობაა!»³⁾

უკავა კოანკმა ამაში მეფეს;
ქალაქს მოიკენენ იმავე ღამეს,
და მესწრაფელ ზღუდენი ნარიუალისა
ექმნათ საჭურედ კართა ქაროლისა!

გათენდა დიდა მზისა აღმოსკლად;
მაგრამ მნათობმან შექისა ნაცვლად,
ბნელი მოქეთინა ტფილისის არეს:
აღა-მაჭად-ხან მოადგა ციხეს!
სამი დღე და ღამ ადგა მას კარით,
მაგრამ კერა რა აკნო გერსაით.—

¹⁾ ე. ვარ. მოკელეთ.

²⁾ ე. ვარიან. თემარემ.

³⁾ ეს ორი სტრიქონი არ არის თაყაიშვილის ვარიანტში.

დაღონდა სპარსთა მეფე ბორგენილი,
და თურმე უოგლით იმედმიხდილი
ქართველი, წარსევლას დააპირებდა.....
მაგრამ იუდა უამს ეძიებდა!
აქა მან იგი აწ მოიგებთა
და მუსთალისა ანგართა კელთა
აჭერეს მამულს სიმტკიცის ბეჭნი!
მან მტკიც უმისჩეულდა თვისინი მომძენი! —
წიცნა რა ირაკლიმ ესე მუსთალისა,¹⁾
მოუმეთა თვისითა ესდენ დამცრობა,²⁾
მუისკე აღენთო კელმწიფე გვლი,
მტკიც ამჟად გამზადებული!
მაგრამ ცუდ იურ უოგელი ღოხე:
აღა-მაჭმალ-ხან, კელაკ თავმომწონე,
შემოეპარა ციხისა ქართა
და მოეკლინა მსწრაფელ ქართველთ ჭართა.³⁾
გაფოთებული ეძიებდა მას,
გინცა თერანისა⁴⁾ ტასტ-ყლმწიფებას
ქართველთა შორის წაართვა ძალა;
მაგრამ ირაკლიმ უცკე გაჭესლა
მთიულეთისკენ თავისი ცხენი
და შეუმცირა სპარსთ ტებილნი დღენი!

¹⁾ ვეზ. ვარიან. სიმუსთალე.

²⁾ ვეზ. ვარიან. სიმდაბლე.

³⁾ ვეზ. ვარიან. და მოეკლინა ქართველთა ჭართა.

⁴⁾ ვეზ. ვარიან. ჭერანის.

კარი მეორე.

მოძინის არაგვი არაგვიანი,
 თან მოქსნასიან მთანი ტუანნი,
 და შეუცოვრად მოუთამაშებს
 გარემო თვისსა ატეხილს ჭალებს.
 ჯი ნაპირო, ¹⁾ არაგვის პირნო,
 მობიბინენო, შეებით მომზირნო,
 ქართველსა გულმან როგორ გაუძღოს,
 ოდეს შენება თქვენი იხილოს,
 რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩამოსდეს,
 რაც უნდა გზასაც ეშურებოდეს!
 როგორ იქნება აა განისკენოს?
 სამფერ ხომ მაინც გარდაჭერავს დკინოს,
 ცხენს მოაძოვებს, თვალს მოატევებს,
 გამოიღიაძეს — შებლს განიგრილებს,
 ერთს ქართველურად კიდეც შექსძახებს,
 არაგვო, მაგ შენს გამწანებულს მთებს,
 და მერმე თუნდაც დაუგვიანდეს,
 იგი იმისთვის აღარ დაღონდეს! ✓

მზე დამაკალი მოქიენს სიამეს
 მთიულეთისა სეობის არეს,
 და ამ მშენიერი არაგვის პირებს
 ძველი ჩარდახი ზედ გარდმოჭურებს.—

¹⁾ ვეხ. ვარიან. ადგილნო.



მუნ ბრძანდებოდა¹⁾ მეუე ირაკლი,
მოწევნის თვალით გარდმომზიარალი;
დაფიქტებული თვისთა ზრასკათა
გაცართობდა ქარვის მარცვალთა.²⁾
თან ახლა მეუეს თავის მსაჭულა,
წიჭთა კეთილთა უხვად მოჰქმებული.
ვის არა გასსოვთ სოლომონ ქედი,
მეუის შანაუმა, უმათ საუკარელი!
სადღა არიან აწ ესე ქაცნი,
რომ არ გვადსენენ თათბირი მათნი!³⁾

დიდხანს შესრეტდა მეუე მდუმარედ
არაგვის წყალთა, მდენთა მექეფარედ;
ბოლოს მასკრალმან უბძანა მსაჭულის:
«შენ იცნობ ქარგად, სოლომონ, ჩემს გულს,
შენ უწევ ქართლის აწ კითარება,
მისი აწ ძაღლა, უოფა, ცხოვრება;⁴⁾
ბეკრ-ჯერ რჩევანი შენინ, კითა წერულის,
მსაღბუნებიან მე შეწესებულის;
აწც ჩემს სულის ტკირთს, ჩემს გულის წადილს,
შენ გაგიმუდაკნებ, კით საუკარელის შეიღისა»

«არ მითვისებდა ქართველთა გული,
რომ კიუპა მათი მეუე ეუდია;
ჩემი მეურისა ზედ დაკასრულე,
რომ ძღვის იგინი გავიურთგულე!

¹⁾ ვებ. ვარ. ბრძანდებოდა.

²⁾ ვებ. ვარ. ქრისტესონის ართობს ქარვათა.

³⁾ ვებ. ვარ. რომ არ გვადსენენ, სულით მამაცნი!

⁴⁾ ვებ. ვარ. უოფა-ცხოვრება.

და ახლა, ოდეს ჩემს კელმწიაფობას,
განუშებულებდი უამ-კეთილობას,
აა მას ნაცელად რამ მომაპყრეს
მე ჩემთა ძეთა—და კინ ასარეს!...¹⁾

ამიერითგან გაქეზებული,
მაჭმად-ხანისა მოსიისხლე გული²⁾
არ დატეაწენარებს სიამაყოთა;³⁾
მას უამი შექსწევს უოკლის ღონითა;
ეს კმა⁴⁾ ლეკოაცა აგვიუსანებს;
ოსმალი მსოლოდ დროსა უუკრებს,⁵⁾
და მტკინი ძლიერ მაშინ მოგვატყდნენ,
როს ყმანი ჩემნი ურთიერთს ბძარებნ!⁶⁾
მეც თუმცა კალაკ კაგრძნობა სულის სიმტკიცეს,⁷⁾
გარნა ღონენი წელთ წარმიმტაცეს;
შენი ირაკლი ის აღარნა კარ,
ჰატიარა კასად (რომ⁸⁾) განახვი-ვარ!
აბა,⁹⁾ რომელს შეიღს ქსედაკ ღირსულის,
რომ ექმნას გურთხსად მამულს დარღვეულის?...

¹⁾ ვეზ. ვარ. აა მას ნაცელად მე რა მომაპყრეს
ჩემმა შეიღებმა, და კინ ასარეს!

²⁾ ვეზ. ვარ. სული.

³⁾ ვეზ. ვარ. ამაყობითა.

⁴⁾ ვეზ. ვარ. სმა.

⁵⁾ ვეზ. ვარ. დროს შემოტეულებს.

⁶⁾ ვეზ. ვარ. როს ყმანი ჩემნი ერთმანერთსა ჸსკლენ;

⁷⁾ ვეზ. ვარ. მე თუმცა კალაკ კაგრძნობა სულის სიმტკიცეს,

⁸⁾ ვეზ. ვარ. რაც.

⁹⁾ ვეზ. ვარ. მარტენ.

ჭი ღმერთო, ღმერთო, ამაზედ მეტად
ნუდა, განკისწირავ ქართველთა ტანჯუად!...¹⁾

ამა რას მიიჩნევი, ჩემო მსაფულო?
კარგად იფიქრე, შეიძლო ერთგულო:
აწ განთქმულია რუსთა სახელი,
პალმწიფე უკისთ ბრძენი და ქადა,
დიდი სანია გავჭეს ჩენ ერთობა,
მტკიცე კავშირი — სარწმუნოება,—
მას მსურს რომ მიკცე²⁾ მემკედრეობა,
და მან მოსცეს³⁾ ქართლს კეთილ-დღეობა!»

ამის გამგონი ჩენია მსაფული
უკერეტდა მეცეს, განცემურებული:
მას არ ჴსკეროდა, რომ ირაკლის გუდს
ჴსედევდა იგი ესთ შეციხლებული.
«რასა მიბრძნებ! ჴქაღრა მან მეფეს,
ბატონო, ღმერთი გადღეგრძელებდეს,
ნუ გააგონებ მაგ კმას!⁴⁾ ქართველთა,
ესდენ შენზედა მსასობელთა!
კურ სამაგისთ რა გეგმართება,
რომ განკისციდოთ თავის-უფლება!⁵⁾

¹⁾ ვე. ვარ. ღმერთო, ამაზედ მეტთა სატანჯუადთ
ნუდა მოუკედენ საწყალთა ქართველთ!...»

²⁾ ვე. ვარ. მას მინდა მიკცე.

³⁾ ვე. ვარ. მოკისცეს.

⁴⁾ ვე. ვარ. სმას.

⁵⁾ თაყ. ვარ. დაკისუფლება.

თაცი, მეფეო, რომე იგერნია
იქმნებან რესთ კელთბედნიერნია?
სახელმწიფოსა ჭიშვილის ერთობა
არა რას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხეაობდეს;¹⁾
გინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს
რესეთის მაღი ქართლს აწინდედია;
გით შეათებისოს რესმა ქართველი,
გით შეიწყნაროს რესთ მეფეამა,
რაც მოისურუოს ქართველობამა?
მაშინ, მეფეო, რავდენა კაცო მართალთ
მოუქლან გუდნი ტანჯგათ იდუმალთ!
მაშინ არაელის სასენებელი,
გინდა ასენოს აწ საქებელი?
ნუ, კელმწიფეო, მას ნუ ინებებ,
შენგან კი მაგას ნუ გაბგაგონებ,
და მერე ქართლი კინც გერ განაგოს,
მაშინ მან უწეის, რაც მოაგვაროს;²⁾
სოლო ირაელი გიდრე ჭიათ ქართველთ,
უბედურებაც ბედნიერ აქენდეთ! — »

«ქმო სოლომონ, მეფემ უბრძანა,
მე ეგ ურევდიგ არ გიცი განა?

¹⁾ თაც. გარ. სახელმწიფოსა ერთობა ჭიშვილის
არა რას არგებს, ოდეს მის შორის
თვისება ერთა სხვადა-სხეაობდეს.

²⁾ თაც. ვარ. და მერე კინც გერ განაგოს ქართლია,
მაშინ მან უწეის რაც ჭიათ გეთილი;



მაგრამ კეთილთა დღეთათჯეს ქართლის,
რა მოგაგერო უმჯობეს აშის?
მე არა გატვიქრობ, კითარცა მეფე,
თვისს დიდებისთჯეს სისხლთა დღმისეულე;
არამედ კითა მამა კეთილი,
რომელსა ჭიურს რომ თავისი შეიძლი
თვისს სიცოცხლეშივ დაასახლეაროს.
მნელ-არს ცხოვრება სამეფოსი, როს
უტერეტდეს იგი მამა დღე დღითი!
აი ხომ ნახე აწ მაგალითი:
რა ჭქმნა ამ ერთმა¹⁾ დამარცხებამან!
გარგი, რომ კიდევ აღა-მაჭად-ხან
ქალაქს დაჭიურდა განძინებული,
სხვით არ ადიგსო მან საწეაული!

დახლა კი დროა, სოლომონ, რომა
შშეიდობა ნახოს საქართველომა.
მან საფარის ქაშე მხოლოდ რუსეთის
ამოიყროს კავრი სპარსეთის,
და მხოლოდ მაშინ უტერეტ გერმანდეს,
რომ ქრისტეანთ კმა²⁾ მარად ისმოდეს
საფლავებზედ ჩეენთა მამა-პაპათა,
და განისკენონ აჩრდილთა მათთა! —

კედარ გაუძლო მსაფუდსა გულმან
და ჭიადრა მეფეს, აღმფოთებულმან:

¹⁾ თაყ. ვარ. ერთმან.

²⁾ თაყ. ვარ. ხმა.



«განზრახება შენი, მეფეებ, მაკვირეებს!
ორაკლიმ იცის, რომე ქართველებს
არად მიაჩნით უბედურება,
თუ აქვთ ოკით ჭირო ქვეშ თავისუფლება».

«სულ მართალია, წემო სოლომონ,
